

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**  
**აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი**

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემის ჩამოყალიბება ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პერსონალის მართვაში. უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება არის მიზანმიმართული პროცესი პერსონალის პროფესიული თვისებების და მახასიათებლების შესაბამისობის დადგენისათვის თანამდებობრივ მოთხოვნებთან და/ან სამუშაო ადგილთან.

1. შეფასების ძირითადი მიზანია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება მათი ჩართულობის შეფასების გზით:

- სასწავლო პროცესში,
- კვლევითი საქმიანობაში,
- კლინიკური საქმიანობაში (კლინიკური სპეციალობის წარმომადგენელთათვის),
- საზოგადოებრივი აქტივობაში.

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო პროცესში ჩართულობის შეფასება მოიცავს პერსონალის მიერ აკადემიური დატვირთვის, სამეცნიერო ხელმძღვანელობის, პროგრამების და სილაბუსების მომზადების და განვითარების, სტუდენტების კონსულტირების შეფასებას.

3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება მოიცავს სახელმძღვანელოების შედგენაში, კვლევითი პროექტებში, მათ შორის – მიზნობრივი დაფინანსების (გრანტი) პროექტებში ჩართულობის, სამეცნიერო პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობის შეფასებას.

4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კლინიკური საქმიანობის შეფასება მოიცავს პერსონალის კლინიკური დატვირთვის შეფასებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საზოგადოებრივი აქტივობის შეფასება მოიცავს პერსონალის მიერ საზოგადოებრივ განვითარებაში პროფესიული აქტივობის შეფასებას.

6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება თვითშეფასების გზით, სპეციალურად შემუშავებული კითხვარით.

7. კითხვარის შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან კონსულტაციის გზით.

8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების კითხვარის შედეგების ანალიზის საფუძველზე ამზადებს ანგარიშს და, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად, ადგენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების გეგმას.

9. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების კითხვარები შემუშავდება 2018 წლის პირველი ოქტომბრისათვის. შეფასების პირველი ციკლი დაიწყება 2019/20 სასწავლო წლიდან.